საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბრძანება №08

ბათუმი

„18" თებერვალი 2022 წ.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ზოგიერთი ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 20 დეკემბრის N49 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და 149-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ზოგიერთი ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 20 დეკემბრის N49 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების N4, N5 და N13 დანართები ამოღებულ იქნეს.

2. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. ბრძანების გაცნობა უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ კანონით დადგენილი წესით.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 01 აპრილიდან.

დავით გაბაიძე